# გაკვეთილის გეგმა

**მასწავლებლის სახელი, გვარი:** მეგი გრიგოლია

**საგანი: ქართული ენა**

**სწავლების საფეხური/კლასი :** I საფეხური, I-ა კლასი, ქართული ენა

**მოსწავლეთა რაოდენობა:** 25

**გაკვეთილის თემა:** ,,დედავ –ცხოვრების ბურჯო მაგარო!“

**გაკვეთილის მიზანი:**

- მხატვრული კითხვისა და საკუთარი გრძნობების, ემოციების გადმოცემის უნარის განვითარება;
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება;

**გაკვეთილის თემისა და მიზნის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან:**

წარმოდგენილი გაკვეთილის თემა და მიზანი თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. გაკვეთილის გეგმის შედგენისას გავითვალისწინე I კლასის ქართული ენის საგნობრივი პროგრამის მოთხოვნები. ჩემი გაკვეთილის მიზანი გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან და ემსახურება ინდიკატორებში გაწერილი შედეგების მიღწევას.

| N | აქტივობის მიზანი და აღწერა | გამოყენებული მეთოდი/მეთოდები | კლასის ორგანიზების ფორმა/ფორმები | სასწავლო რესურსები(დაასაბუთეთ შინაარსობრივი რესურსების მიზანშეწონილობა სასწავლო მიზანთან მიმართებით) | დრო (წთ) |
|---|---|---|---|---|---|
| **1** | **აქტივობა:** საორგანიზაციო საკითხები;<br><br>**აქტივობის მიზანი:** სასწავლო მიზნისა და შესაბამისი მოლოდინების განსაზღვრა, მოსწავლეების პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლება | ვერბალური ახსნა ;<br><br>წინარე ცოდნის გააქტიურება; | საერთო საკლასო | კედელზე ერთჯერადად გამოყენების ფურცლებზე დაწერილი გაკვეთილის თემა, მიზანი შეფასების რუბრიკა.<br><br>მოსწავლეებს შეექმნებათ შესწავლილი თემისადმი პიროვნული დამოკიდებულებებისა და კავშირების გამოკვეთის შესაძლებლობა. შეფასების რუბრიკები ეხმარება | **2წთ** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | და მოტივაციის გაზრდა.<br><br>**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი ესალმება კლასს, აცნობს გაკვეთილის თემას, მიზნებს და შეფასების რუბრიკას;<br><br>შესავალი საუბარი დედაზე . | | | მასწავლებელს მოსწავლეთა საბოლოო შედეგებისა და წარმატების მაჩვენებლის დანახვაში, მოსწავლეებს კი მიღწეული შედეგების გაუმჯობესების გზების დანახვაში. | |
| **2** | **აქტივობა:**<br><br>გონებრივი იერიში<br><br>**აქტივობის მიზანი:**<br><br>მოსწავლეთა გონებაში უკვე არსებული ინფორმაციის აღდგენა ,გახსენება. მოსწავლეთა გააქტიურება, მოტივაციის გაძლიერება;<br><br>**აქტივობის აღწერა:**<br><br>წინასწარ დახატულ და დაფაზე გაკრულ დედა-შვილის სურათის ირგვლივ გონებრივი იერიშის შევსება მოსწავლეთა აქტიურობით.<br><br>მივმართავ მოსწავლეებს:<br><br>შევავსოთ დაფაზე გაკრული გონებრივი იერიში და გავცეთ | გონებრივი იერიში | საერთო საკლასო | დაფაზე წინასწარ გაკრული დედა-შვილის სურათი ;<br>გონებრივი იერიშის სქემა, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება წინარე ცოდნის გააქტიურებაში; | **3 წთ** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | კითხვას პასუხი: ,,როგორია დედა?“<br><br>მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ ვარაუდებს: ერთგული, მზრუნველი, მისაბაძი, მშრომელი, მრჩეველი, .... | | | | |
| **3** | **აქტივობა:**<br>პოეზია<br><br>**აქტივობის მიზანი:**<br>ლექსიკური მარაგის გამდიდრება<br><br>**აქტივობის აღწერა:**<br>მოსწავლეები იხსენებენ ლექსებს,ანდაზებს დედაზე; | ანდაზების, ლექსების გახსენება დედაზე; | საერთო საკლასო | სხვადასხვა პოეტების ლექსთა კრებულები;<br><br>პოეზია ეხმარება მოსწავლეებს ლექსიკური მარაგის გამდიდრებაში. | **10 -12 წთ** |
| **4** | **აქტივობა:**<br>დედისადმი გამზადებულ კონვერტებში ილუსტრაციის გაფერადება.<br><br>**აქტივობის მიზანი:**<br>შემოქმედებითი უნარების განვითარება;<br><br>**აღწერა:**<br>მოსწავლეებმა ინდივიდუალურად საკუთარი ფანტაზიით შეაფერადეს კონვერტები. | ილუსტრაციების გაფერადება | ინდივიდუალური | ლამაზად გაფორმებული კონვერტები;<br><br>მოცემულმა თვალსაჩინოებამ ხელი შეუწყო შემოქმედებითი უნარების განვითარებას; | **5-8 წთ** |
| **5** | **აქტივობა** | სურათის აღწერა | საერთო საკლასო | სურათი ,,შთაბეჭდილებათა თაიგული“. | **5-7 წთ** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ,,შთაბეჭდილებათა თაიგულის“ შევსება მოსწავლეთა მიერ.<br><br>**აქტივობის მიზანი:** საკუთარი აზრის წერილობით გადმოცემა;<br><br>**აქტივობის აღწერა:** მოსწავლეები აფასებენ ჩატარებულ გაკვეთილს და წერენ ფერად სტიკერებზე საკუთარ აზრებს, შეხედულებებს, შემდეგ გამოდიან, კითხულობენ და აკრავენ ,,შათაბეჭდილებათა თაიგულის ირგვლივ“ თავიანთ დაწერილს. | ოთხსიტყვიანი წინადადების მოფიქრება | | მოსწავლეებს განუვითარდებათ უნარი, გადმოსცენ სათქმელი წერილობით; | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **6** | **აქტივობა:**<br><br>მუსიკალური ნომერი: ,,გაზაფხული შემოსულა ლენ...<br><br>**აქტივობის მიზანი:**<br><br>მოსწავლეებში განვავითაროთ ესთეტიური უნარები.<br><br>**აქტივობის აღწერა;**<br><br>მოსწავლეებმა მოუსმინეს მასწავლებლის ბუკში ჩართული მუსიკალური ნომერი: ,,გაზაფხული შემოსულა ლენ....“ | მუსიკალური ნომრის ჩვენება | საერთო საკლასო | მასწავლებლის ბუკი,დინამიკები.<br><br>მუსიკალური ნომერი უვითარებს მოსწავლეებს ესთეტიურ უნარებს. | **3 წთ** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

**გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:**

**ქართ.დაწყ.(I).1.** მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სამეტყველო ქცევის გამოვლენა ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციაში.

- სწორად რეაგირებს ნაცნობ სამეტყველო სიტუაციებში;
- საჭიროების მიხედვით, ადეკვატურად ცვლის სამეტყველო როლებს (უსმენს სხვებს, სვამს/ პასუხობს შეკითხვებს);
- ასრულებს მასწავლებლის მარტივ ზეპირ ინსტრუქციებს;

**ქართ.დაწყ.(I).2.** მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება–გააზრება და გადმოცემა.

- ილუსტრაციებს უკავშირებს მოსმენილ ტექსტს

**ქართ.დაწყ.(I).4.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ–სინტაქსური კონსტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა.

- მკაფიოდ გამოთქვამს ბგერებს/ მარცვლებს სიტყვაში;

**ქართ.დაწყ.(I).5.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

მიზნის შესაბამისად იყენებს საყრდენებს (მაგ., მინიშნებებს, ილუსტრაციებს, შეთავაზებულ მარტივ სქემას, ინსტრუქციასა და სხვ.).

**ქართ. დაწყ.(I).6.** მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.

- სიტყვებში გამოყოფს და წარმოთქვამს მარცვლებს, მარცვლებში — ბგერებს;
- თავისუფლად ცნობს ხშირად გამოყენებული სიტყვის ორთოგრაფიულ ხატს;
- ნაცნობ ასოებს ამთლიანებს მარცვლებად, მარცვლებს – სიტყვებად;

**ქართ.დაწყ.(I).8.** მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით; ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით.

- ილუსტრაციაზე დაყრდნობით ჰყვება ამბავს.

**(მოსწავლის შეფასების კრიტერიუმები და/ან რუსბრიკები, რომელიც თან ერთვის გეგმას)**

შეფასება:

გაწაფული კითხვის შეფასების რუბრიკა:

| კრიტერიუმები | იშვიათად | ხშირად | ყოველთვის |
|---|---|---|---|
| კითხულობს ხმამაღლა და გარკვევით | | | |
| კითხულობს სათანადო ინტონაციით | | | |

გაკვეთილზე ჩართულობის შეფასების რუბრიკა

| შეფასების კომპონენტები | საუკეთესო | კარგი | გასაუმჯობესებელი |
|---|---|---|---|
| საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა | აქტიურადაა ჩართული ყველა სახის აქტივობის შესრულებისას. | ჩართულია ზოგიერთი აქტივობის შესრულებისას. | ვერ ერთვება საგაკვეთილო პროცესში. |
| გამართული და სწორი მეტყველება | გამართულად მეტყველებს, ზუსტად იცავს მართლმეტყველების ელემენტარულ წესებს. | თითქმის გამართულად მეტყველებს, მაგრამ მართლმეტყველების ელემენტარული წესების დაცვის დროს უშვებს უმნიშვნელო უზუსტობებს. | ვერ ახერხებს გამართულ და *სწორ მეტყველებას.* ვერ იცავს მართლმეტყველების ელემენტარულ წესებს. |

**დანართები:**

**დანართი N-1.**


გაზაფხულივით ნაზი
მეგობარი
მზრუნველი
კეთილი
გმირი
ჭკვიანი
სანდო
ტკბილი
ლამაზი
ერთგული

**დანართი N2**



**დანართი N-3**



**დანართი N-4**



**ხელმოწერა: მ.გრიგოლია.**

**თარიღი:  1. 03. 2024წ.**